ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს

ბიულეტენი#1

www.migrant.ge | fb.com/migrant.ge | იანვარი 2014 წ.

საბერძნეთის სკაიპის ცხელი ხაზი migrant_gr | თურქეთის სკაიპის ცხელი ხაზი migrant_tr | საქართველოს სკაიპის ცხელი ხაზი migrant_ge

მისალმება

პატივცემულო მკითხველო, მოგესალმებით G-PAM პროექტის გუნდის სახელით. არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა“, 2013 წლის მაისიდან, ევროკავშირის მხარდაჭერით, ახორციელებს ინიციატივას „ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს“ (G-PAM). წინამდებარე ბიულეტენი წარმოადგენს პროექტის საინფორმაციო რესურსს, რომელიც პერიოდულად გავრცელდება მიგრაციის სფეროთი დაინტერესებულ აუდიტორიაში, როგორც ელექტრონული საშუალებით, ასევე სოციალური ქსელებით, მათ შორის, განთავსდება პროექტის ვებ გვერდზე www.migrant.ge. ბიულეტენის საშუალებით შესაძლებლობა გექნებათ გაეცნოთ G-PAM პროექტის საქმიანობებს, მიგრაციის სფეროს სიახლეებს, მიგრაციის სფეროში მიმდინარე პროექტებს, კანონმდებლობას და სხვა საკითხებს. მზად ვართ, თქვენთან თანამშრომლობისა და საინფორმაციო სფეროში პარტნიორობისთვის.

ინტერვიუ: G-PAM-ის #1 ბიულეტენის სტუმარია მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს აღმასრულებელი მდივანი, გიორგი ჯაში:

– ბატონო გიორგი, მოგესალმებით. გთხოვთ, შეაჯამოთ თქვენი სტრუქტურის 2013 წლის მუშაობა ლეგალური მიგრაციის მართვის სფეროში.

– 2013 წელს მიღებული იქნა ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი მიგრაციის მართვის სფეროში – მიგრაციის 2013–2015 წლების სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა. ორივე დოკუმენტში ლეგალური მიგრაცია მოხსენიებულია პრიორიტეტად და გაწერილია სამოქმედო მიმართულებებს შორის. ამის პარალელურად, კომისიის სამდივნოს მხრიდან მიმდინარეობს მუშაობა რამდენიმე პროექტზე:
ცირკულარული მიგრაციის სქემის შესწავლა და სატესტო რეჟიმში ამოქმედება საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის. შრომითი მიგრაციის ეს მიმართულება, რომელიც არჩეულია, როგორც არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლისა და ლეგალურის განვითარების ერთ–ერთი ძირითადი იარაღი,

გაგრძელება იხილეთ მე-8 გვერდზე

G-PAM-ის #1 ბიულეტენის სტუმარია დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, მუხრან გულაღაშვილი:

– გამარჯობა , ბატონო მუხრან. გთხოვთ, შეაჯამოთ თქვენი სტრუქტურის 2013 წლის მუშაობა ლეგალური მიგრაციის მართვის სფეროში.

– დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის წევრი უწყებაა. აღნიშნული კომისიის ფარგლებში, აპარატი ჩართულია მიგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიხედვით განსაზღვრული აქტივობების შესრულებაში, მათ შორის ისეთი აქტივობებისა, რომლებიც უკავშირდება ლეგალური მიგრაციის მართვას.

გაგრძელება იხილეთ მე-7 გვერდზე

ორწლიანი პროექტი "ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს" დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ 2013 წელს (G-PAM) - ის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს სამოქალაქო განვითარების სააგენტო – "სიდა" (www.cida.ge). პროექტის ზოგადი მიზანია მიგრაციული ნაკადების უკეთესად მართვაში საქართველოსთვის დახმარების გაწევა. ამ მიზნის მისაღწევად პროექტის საქმიანობები სამი მიმართულებით წარმოებს.

პროექტის ძირითადი გეგმიური საქმიანობებია:

(ა) პროექტის ბენეფიციარებს შორის (შესაძლო და ამჟამინდელი მიგრანტები) მიგრაციული განწყობისა და ტენდენციების შესწავლა; პროფგადამზადების, სხვა საჭიროებების გამოვლენა;

- ქართველი მიგრანტების უფლებების დაცვა;
- ქართველების კარგად მართული ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა თურქეთსა და საბერძნეთში;
- საქართველოს განვითარებაზე მიგრაციის პოზიტიური ეფექტების ოპტიმიზირება.

(ბ) სხვადასხვა საინფორმაციო, ანალიტიკური ბაზის შემუშავება და განვითარება (მათ შორის, ბენეფიციართა რეგისტრაცია-მომსახურების ბაზის);

(გ) ბენეფიციართა და მათი საქმეების გადამისამართების სისტემის ჩამოყალიბება საქართველოს, საბერძნეთის, თურქეთის შესაბამისი (არა)სახელმწიფო ორგანიზაციის, აგრეთვე საერთაშორისო და უცხოური ორგანიზაციების მონაწილეობით;

(დ) ბენეფიციართა კონსულტირება-ინფორმირება მიგრაციის სფეროში მომხდარ საინტერესო სამართლებრივ ცვლილებებზე, მოქალაქეობრივ თუ ქონებრივ საკითხებზე და ა.შ. (იხილეთ ბენეფიციართა მომსახურების სექცია მომდევნო გვერდზე);

ე) მიგრანტებისთვის პრივატული სკაიპის ცხელი სატელეფონო ხაზის შექმნა და ფუნქციონირება როგორც ადგილზე (თურქეთი, საბერძნეთი), ისე საქართველოში;

(ვ) მიგრაციის ცალკეულ საკითხებზე ეროვნული რეგიონული განხილვების მოწყობა პარტნიორების, ბენეფიციარებისა და თანამოაზრე ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით;

(ზ) პერიოდული ბიულეტენის გამოშვება, რომელშიც მიმოხილული იქნება თურქეთისა და საბერძნეთის დასაქმების ბაზრები;

(თ) თურქეთსა და საბერძნეთში შესაძლო მიგრანტებისთვის პირველი ნაბიჯის ტრეინინგების ჩატარება და სპეციალური "წამსვლელთა სახელმძღვანელოს" გადაცემა;

(ი) რეგიონებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების შესაძლებლობების ანალიზი და მათ შესახებ დაინტერესებული მიგრანტების ინდივიდუალური მომსახურება;

(კ) ლეგალური მიგრაციის წამახალისებელი კამპანიის ჩატარება მთელი საქართველოს მასშტაბით და დიასპორული ორგანიზაციების ჩართვით.

პროექტის პარტნიორები

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, გორის საინფორმაციო ცენტრი, ასოციაცია "ათინათი", ქუთაისის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი, დემოკრატიის ინსტიტუტი, კეთილი ნების მისია – მისიონერები, "მე დავბრუნდები", კომპიუტერის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება.

პროექტის ოქტომბერ-დეკემბერში განხორციელებული აქტივობები საბერძნეთში
2013-12-25

16 ოქტომბერს G-PAM პროექტის ფარგლებში და "ჩიკორია ექსპრესის" ხელშეწყობით მოეწყო ათენის, ამბელოკიპის რაიონში მცხოვრები ემიგრანტებისათვის 150 ბუკლეტის გადაცემა.

17-22 ოქტომბერს ათენში დიასპორების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელშეწყობით და არასამთავრობო ორგანიზაცია "კოლხიდას" ორგანიზებით განხორციელდა პროექტი – "ქართველი ექიმები თანამემამულეთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის". პროექტის ფარგლებში 500–მა ემიგრანტმა გაიარა სამედიცინო შემოწმება საქართველოდან სპეციალურად ჩამოსული ექიმების დახმარებით. პროექტში ჩართულ თითოეულ ემიგრანტს გადაეცა G-PAM პროექტის აღწერილობა და მოწვევა სკაიპ კონსულტაციებზე.

საქართველოს მოქალაქეს აინტერესებდა, თუ რა შეიძლებოდა გაეკეთებინა იმისათვის, რომ მიეღო საბერძნეთის რესპუბლიკაში ლეგალური მუშაობის უფლება. იგი გადამისამართებული იქნა პარტნიორ იურიდიულ კონსულტაციაში.

5 ნოემბერს G-PAM პროექტის ოფისში შედგა შეხვედრა ათენში მცხოვრებ ამჟამად უმუშევარ ემიგრანტებთან, რომელთაც მივაწოდეთ ინფორმაცია საქართველოში დაბრუნების შემთხვევაში შრომითი მოწყობისა და გადამზადების კურსების შესახებ. გავრცელდა პროექტის საინფორმაციო ბუკლეტი.

პროექტის ოქტომბერ–დეკემბერში განხორციელებული აქტივობები თურქეთში
2013-12-25

ოქტომბერი - დეკემბერის განმავლობაში G-PAM პრექტის წარმომადგენლობას მომართა 22-მა არალეგალმა ემიგრანტმა, რომელთაც აინტერესებდათ, თუ როგორ შეიძლებოდა დაბრუნებულიყვნენ საქართველოში, თუ მათ ჰქონდათ დარღვეული თურქეთის რესპუბლიკაში საემიგრაციო კანონმდებლობა. ისინი ჩვენ მიერ გადამისამართებულები იყვნენ IOM-ის პროექტში, სადაც მათ უსასყიდლოდ გადაეცათ თვითმფრინავის ბილეთები.

G-PAM პროექტის პირველი საგანგებო საქმე
2013-09-09

2013 წლის 1 სექტემბერს საბერძნეთში G-PAM პროექტის ოფისში (ორგანიზაცია "მე დავბრუნდები"-ს საბერძნეთის წარმომადგენლობა) შემოვიდა შეტყობინება, რომ თბილისი-ათენი ავტობუსის რეგულარული რეისზე თურქეთის სამართალდამცავებმა გაურკვევილი მიზეზის გამო დააკავეს საქართველოს მოქალაქე. საბერძნეთის ოფისი დაუკავშირდა G-PAM პროექტის ოფისს თურქეთში (ორგანიზაცია "მე დავბრუნდების" თურქეთის წარმომადგენლობა), რომელმაც უმოკლეს ვადაში მოიძია, თუ სად იმყოფებოდა საქართველოს მოქალაქე, ამის შესახებ შეატყობინა საქართველოს საკონსულოს. თურქეთში ოფისმა აღნიშნული პირი პირველ დაკითხვაზე და სასამართლო სხდომაზე უზრუნველყო თარჯიმნით და ადვოკატის წარმომადგენლობით. პროექტის მიერ გაწეული მხარდაჭერის შედეგად, საქართველოს მოქალაქე იყო ერთადერთი პირი, რომელსაც აღკვეთის ღონისძიებად მიესაჯა თავდებობაში განთავისუფლება, მიუხედავად საქმის სირთულისა. პროექტის ოფისი და ორგანიზაცია განაგრძობს ამ საქმის მონიტორინგს.

საბაზისო კვლევის პირველადი შედეგები
2013-11-26

საქართველოს რეგიონებში პროექტის მიერ 2689 ოჯახის გამოკითხვის პირველადი შედეგის მიხედვით, გამოკითხული ოჯახების თითქმის 12%–ს ოჯახის წევრი ჰყავს ემიგრირებული საბერძნეთში ან თურქეთში. ამ ემიგრირებულთა ოჯახების 40%–ზე მეტი მათი ემიგრირებული ოჯახის წევრის დანიშნულების ქვეყნად ასახელებს საბერძნეთს, დაახლოებით 60% – თურქეთს, ემიგრირებულთა ოჯახების 12% აცხადებს, რომ თურქეთსა თუ საბერძნეთში ემიგრირებულ მათ წევრს აქვს სამართლებრივი პრობლემები, 30% ასახელებს სოციალურ პრობლემას, 29% – ჯანმრთელობის პრობლემას.

ევროკომისარი სესილია მალმსტრომი: 2013 წლის მიმოხილვა

ევროკავშირის ერთ–ერთი ქვაკუთხედი – თავისუფალი მოძრაობა კრიტიკის საგანი გახდა მიმდინარე წელს. მიუხედავად ამისა, ეს არის უფლება, რომელსაც ევროკავშირის ეკომისიის წევრები ყოველთვის დავიცავთ. ევროკავშირის ყველა მოქალაქეს აქვს უფლება იცხოვროს იმ წევრ ქვეყანაში, რომელსაც ის მოისურვებს. გარდა მოქალაქეთა თავისუფალი მიმოსვლისა, მუშათა თავისუფალ მიმოსვლას აქვს დადებითი ზეგავლენა ევროკავშირის ეკონომიკასა და შრომით ბაზარზე. მაგალითისთვის, ათასობით ესპანელი უმუშევარი ინჟინერი ახლა გერმანიაშია დასაქმებული.

გარდა იმისა, რომ თავისუფალი მიმოსვლა ხელს უწყობს ევროკავშირის ეკონომიკას, იგი გამოწვევებს ქმნის ქალაქებისთვის. ეკონომიკურმა და ფინანსურმა კრიზისმა რამდენიმე წევრ სახელმწიფოში ბიძგი მისცა დებატებს იმის თაობაზე, თუ რა გავლენა აქვს თავისუფალ მიმოსვლას ეროვნულ სოციალურ სისტემებსა და ადგილობრივ მომსახურებებზე. ერთ–ერთ პასუხად ამ დისკუსიისა ჩვენ გამოვეცით ანგარიში, რომელმაც აჩვენა, რომ ევროკავშირის მოქალაქეები, რომელთაც თავისუფალი მიმოსვლის საშუალება აქვთ საშუალოდ უფრო დასაქმებულები არიან, ვიდრე - მასპინძელი ქვეყნის ადგილობრივი მოქალაქეები. ანგარიში ასევე სთავაზობს 5 გზას, რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივი ხელისუფლებების როლის განმარტებასა და მუშაობის გაუმჯობესებას.

თავისუფალი მიმოსვლა დაკავშირებულია შენგენის შეთანხმებასთან. მიმდინარე წელს ჩვენ შევთანმხდით, რომ გავაძლიერებდით შენგენის თანაშრომლობას. ახალი სისტემის მიხედვით, ჩვენ ვიცით, რომ მობილურობა და მიგრაცია მნიშნელოვანია ეკონომიკის ზრდისა და განვითარებისთვის და, შესაბამისად, ვმუშაობთ ვიზის ლიბერალიზაციაზე. ეს წარმოადგენს ევროკავშირის მეზობლებთან ურთიერთობის ერთ–ერთ მნიშნელოვან ნაწილს. ამ კვირას [დეკემბერი] მე ვიყავი თურქეთში, რათა ხელი მომეწერა შეთანხმებისთვის, რომლის საფუძველზეც დავიწყებთ ვიზის ლიბერალიზაციაზე მოლაპარაკებებს. ეს ჩვენი ურთიერთობების მნიშნელოვან განვითარებას წარმოადგენს. ნოემბერში კომისიამ ასევე წამოაყენა შემოთავაზება, რომ მოლდოვის მოქალაქეებს მიენიჭოთ უვიზო მიმოსვლის უფლება. მსგავს თემაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს უკრაინასა და საქართველოსთან. მნიშვნელოვანია, რომ რიგითმა მოქალაქეებმა შეძლონ ადვილად იმოგზაურონ, შეხვდნენ მეგობრებსა და ოჯახის წევრებს, ბიზნესმენებმა აწარმოონ საქმიანობა და, რომ ტურისტებმა ვიზის ლოდინში რამდენიმე კვირა არ დაკარგონ.

მიუხედავად ევროპაში უმუშევრობისა, პარადოქსია რომ ჩვენ გვაქვს პრობლემები, ვიპოვოთ კვალიფიციური მუშახელი სხვადასხვა სფეროში. რამდენიმე ქვეყანაში დემოგრაფიული გამოწვევები ისევ ძლიერია, მარტივად რომ ვთქვათ, ძალიან ცოტა ბავშვი იბადება დღეს ევროპაში. ამ მხრივ მეტი ძალისხმევაა საჭირო: მეტმა ქალმა უნდა მიიღოს წვდომა შრომის ბაზარზე, ჩვენ ასევე ძალისხმევა უნდა მივმართოთ განათლებისა და ევროპაში მცხოვრები ემიგრანტების რეინტეგრაციისკენ. შრომითი მიგრაცია არ არის პრობლემების მოგვარების ერთადერთი ხერხი, ის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამ მიზნით, ჩვენ ევროკავშირი უფრო მიმზიდველი უნდა გავხადოთ კავშირის გარეთ მყოფი ადამიანებისთვის და ამავე დროს მათთვის ევროკავშირში მოხვედრაც უნდა გამარტივდეს.

მარტში მე წარმოვადგინე მოხსენება იმის თაობაზე, რომ უნდა შეგვემცირებინა ბიუროკრატიული ბარიერები და შეგვექმნა უკეთესი გარემო–პირობები მესამე ქვეყნების სტუდენტებისა და მკვლევარებისთვის, რომ მათთვის ევროკავშირი უფრო მეტად სასურველი გაგვეხადა. ამ შემოთავაზებაზე საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მზად არც ევროპარლამენტში და არც მინისტრთა საბჭოზე. მიუხედავად ამისა, კავშირის საზღვრებში შესვლის, ცხოვრებისა და სეზონური მიგრანტი მუშების უფლებების თაობაზე დისკუსიისას ნაპოვნი იქნა კარგი გადაწყვეტილება. ახალი წესები ხელს შეუწყობს ვიზის გაცემის პროცედურებს და სეზონურად დასაქმებულები მიიღებენ სარგებელს იმავე კანონებით, რომლებიც მოქმედებენ ევროკავშირის მოქალაქეებზე. მაგალითად, სამუშაო საათები, მინიმალური ხელფასი, დათხოვნა და შვებულება, ჯანმრთელობა და უსაფრთხოების მოთხოვნები. შრომითი მიგრაციის საკითხი იქნება ცენტრალური მომავალ წლებში.

ევროკავშირი მაისში მნიშნელოვან არჩევნებს ელოდება. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ თავისუფალი მიმოსვლის დაცვა, უნდა ავდგეთ არატოლერანტობის წინააღმდეგ და გავიხსენოთ, რომ მიგრაცია არის წარმატების ერთ ერთი ფაქტორი. წყარო: http://blogs.ec.europa.eu/malmstrom/

"კომისიას ექნება ცენტრალური როლი და იგი იქნება კოორდინატორი. არც ერთი წევრი სახელმწიფო არ იქნებაუფლებამოსილი დამოუკიდებლად, საკუთარი გადაწყვეტილების მიხედვით ჩაკეტოს საზღვარი. კომისია ასევე თვალყურს მიადევნებს ევროკავშირის შიდა საზღვრებს, გააკონტროლებს წევრ ქვეყნებს, რომ მათ არ დაარღვიონ საზღვრო კონტროლის შესაძლებლობები, როგორიცაა მაგალითად საპასპორტო კონტროლი".

დიასპორასთან ურთიერთობის სტრატეგიის პროექტი
2013-11-15

ნოემბრის დასაწყისში სიდამ დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს წარუდგინა თავისი მოსაზრებები აპარატის მიერ მომზადებული ,დიასპორასთან ურთიერთობის სტრატეგიის პროექტთან“ დაკავშირებით, რომელსაც მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია საქართველოდან მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წასული თანამემამულეების პრობლემების მოგვარებაში, დიასპორების გაძლიერებაში, დაბრუნება–რეინტეგრაციაში, აგრეთვე საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში მიგრანტთა წვლილის გაზრდაში.

მოსაზრებების თავსართ წერილში სიდას ხელმძღვანელი ზვიად დევდარიანი აღნიშნავს, რომ დოკუმენტი ,პასუხობს ქართული დიასპორების წინაშე არსებულ, ხშირად ძალიან განსხვავებულ, გამოწვევას“ და რომ ,მოხარული ვიქნებით, თუ გამოვნახავთ სტრატეგიასა და ჩვენს მიმდინარე [G-PAM] პროექტს შორის სასარგებლო გადაკვეთებს - იქნება ეს ელექტრონულ-ინფორმაციული მხარე..., საკონსულტაციო-გადამისამართების სისტემა (პროექტის მხრიდან მასში შედის 55 კონსულტანტი საქართველოში, თითო-თითო კონსულტანტი საბერძნეთსა და თურქეთში) თუ დიასპორების საჭიროებებისა და მიგრაციული პროცესების კვლევები“.

ცვლილება საბერძნეთში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის მოვლის ნებართვაზე
2013-11-21

წარმოგიდგენთ საბერძნეთის შინაგან საქმეთა მინისტრისა და სოციალური უსაფრთხოების მინისტრების 2013 წლის 13 სექტემბრის ერთობლივი გადაწყვეტილების არაოფიციალურ თარგმანს, რომელიც გულისხმობს შშმ პირებთან (80%) მომუშავე მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის ბინადრობის უფლების მინიჭებას.

> დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით აუცილებლად უნდა მიმართოთ იმ მუნიციპალიტეტს (დიმოსს), რომელსაც საბერძნეთში მყოფი ქართველი მიგრანტის საცხოვრებელი ადგილი მიეკუთვნება ან საბერძნეთის რესპუბლიკის ატიკის რეგიონის ადმინისტრაციას, შინაგან საქმეთა გენერალურ დირექტორატს, ათენის უცხოელთა და ემიგრანტთა მომსახურების ცენტრს (http://www.cityofathens.gr/) შემდეგ ტელეფონის ნომერზე: 2103403350 ან 2103403351. ტექსტის ორიგინალი ბერძნულ ენაზე მოიპოვება აქ: http://www.taxheaven.gr/laws/circular/view/id/1719

ათენი, 2013 წლის 13 სექტემბერი

საბერძნეთის შინაგან საქმეთა მინისტრისა და სოციალური უსაფრთხოების მინისტრების 2013 წლის 13 სექტემბრის ერთობლივი გადაწყვეტილება შშმ პირებთან (80%) მომუშავე მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის ბინადრობის უფლების მინიჭების შესახებ

მუხლი 1

რეგიონალური ადმინისტრაციის ბრძანებით, გაიცემა ბინადრობის უფლება მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე, რომლებიც ერთ წელზე მეტი ცხოვრობენ და მუშაობენ საბერძნეთში და უვლიან პირველი ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს (80%).

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს უნდა ჰქონდეთ დამადასტურებელი საბუთი ინვალიდობის თაობაზე, სადაც აღნიშნული იქნება ინვალიდობის ჯგუფი არა ნაკლებ 80 პროცენტით.
პირი, რომელიც არის ნათესავი ან კანონიერი მეურვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანის ვალდებულებას იღებს შრომითი კანონმდებლობის მიხედვით დადოს და ხელი მოაწეროს შრომის ხელშეკრულებას მესამე ქვეყნის მოქალაქესთან.
მესამე ქვეყნის მოქალაქეები არ უნდა წარმოადგენდნენ საშიშროებას საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უშიშროებისათვის.

მუხლი 2

მესამე ქვეყნის მოქალაქეები ვალდებული არიან შეიტანონ განცხადება კომპეტენტურ სამსახურებში ბინადრობის უფლებების გასაცემად და წარადგინონ ქვემოთ აღნიშნული დამატებითი დოკუმენტაცია:
1. განცხადების ფორმა;
2. 3 ფოტოსურათი;
3. მოქმედი პასპორტის ასლი
4. ცნობა ინვალიდობის შესახებ, რომელიც გაცემული იქნება ინვალიდობის სერტიფიცირების ცენტრიდან და ექიმის ცნობა, რომ პაციენტს ესაჭიროება დახმარება.
5. ბერძენი დამსაქმებლის მიერ შედგენილი განცხადება იმის თაობაზე, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქე დასაქმებულია ერთ წელიწადზე მეტი და მის მეტი სხვა არავინ არ ჰყავს დასაქმებული.
6. შრომის ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მესამე ქვეყნის მოქალაქის ხელფასი შრომითი კანონმდებლობის მიხედვით.
7. მესამე ქვეყნის მოქალაქის ჯანმრთელობის ცნობა.
8. ოფიციალური გადასახადი, რომელიც განისაზღვრება კანონის N3386/05 მუხლი 92,

კუნქტი 1
ბინადრობის უფლების გასაგრძელებლად დაინტერესებულმა პირმა ორი თვით ადრე უნდა შეიტანოს დოკუმენტები.

მუხლი 3

ბინადრობის უფლება არის ერთწლიანი და ყოველი მისი გაგრძელება არის ორწლიანი. დამსაქმებელს აქვს უფლება დადოს შრომის ხელშეკრულება მხოლოდ ერთ პირთან.

დამსაქმებელი და დასაქმებული, რომლებიც აფორმებენ შრომის ხელშეკრულებას მოცემული ბრძანების მიხედვით თავისუფლდება კანონის N3386/05 მუხლი 86, პუნქტი 3, 4 და 6, მიერ გათვალისწინებული სანქციებიდან. ზემოაღნიშნული რეგულაციები ძალაშია ექვსი თვის განმავლობაში გამოქვეყნების დღიდან.

ცვლილებები კანონში უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ

2013-11-20

საქართველოს პარლამენტს ცვლილებები შეაქვს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონში. საზღვარგარეთ ვიზას გასცემენ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლები და საკონსულო დაწესებულებები, საზღვარზე – შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, ხოლო ქვეყნის შიგნით კანონიერად მყოფ უცხოელებზე ვიზის მოქმედების ვადას აგრძელებს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.

არსებულ ვიზის კატეგორიებს დაემატა საიმიგრაციო ვიზა, ხოლო სამსახურეობრივი ვიზის კატეგორია შეიცვალა სპეციალური ვიზის კატეგორიით. შემოღებულია ვიზის ორი ტიპი: მოკლევადიანი და გრძელვადიანი. კანონპროექტით, გადამყვანი კომპანიები ვალდებული არიან შეამოწმონ უცხოელთა სამგზავრო დოკუმენტები, წარადგინონ უცხოელები ინსპექტირებისთვის სასაზღვრო გამტარ პუნქტებში, უკან დააბრუნონ ის უცხოელები, რომელთაც ვერ მიიღეს საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის უფლება იმის გამო, რომ არ გააჩნდათ საქართველოში შემოსვლის ან და ყოფნის საფუძველი და სამგზავრო დოკუმენტები.

სრული ოფიციალური ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ იხილეთ შემდეგ ბმულზე:
http://parliament.ge/files/Draft_Bills/13.11.13/07-2.119.pdf.

G-PAM პროექტის კონსულტანტების რეგიონული ტრეინინგები

4 –12 ნოემბერს საქართველოს 5 რეგიონში (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, იმერეთი, აჭარა და სამეგრელო) ჩატარდა G-PAM–ის პროექტის 50 სოფლისა და 5 მუნიციპალური კონსულტანტის რეგიონული ტრენინგების სერია. ტრეინინგების შემდეგ კონსულტანტების ქსელმა სრული დატვირთვით დაიწყო მუშაობა. ისინი საბერძნეთსა თუ თურქეთში ლეგალურად ემიგრირების მსურველ მოქალაქეებს აწვდიან ინფორმაციას აღნიშნულ ქვეყნებში ემიგრირების, ცხოვრებისა და მუშაობის რისკებზე და თავისებურებებზე, ხოლო უკვე ემიგრირებულ ჩვენს თანამემამულეებს სამართლებრივი თუ პროცედურული პრობლემების გადაწყვეტაში დაეხმარებიან კონსულტაციებით თუ შესაბამის ორგანიზაციაში გადამისამართებით. კონსულტანტების საკონტაქტო მონაცემები და ცხელი სკაიპ ხაზების მისამართები მოცემულია პროექტის საიტზე: migrant.ge.

ინტერვიუ მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს აღმასრულებელ მდივანთან, გიორგი ჯაშთან:

დასაწყისი იხილეთ პირველ გვერდზე:

...2) სამდივნოს მიერ დაწყებულია მუშაობა ე.წ მიგრაციის სახელმძღვანელოზე, რომელიც როგორც პოტენციურ ემიგრანტებს, ასევე იმიგრანტებს მისცემს ამომწურავ ინფორმაციას იმ რეგულირებებზე, რაც აუცილებელია როგორც ევროკავშირის ქვეყნებში ლეგალური ემიგრაციისთვის, ასევე საქართველოში იმიგრაციისთვის. სახელმძღვანელო გამოიცემა ევროკავშირის პროექტის მეტი–მეტისთვის ფარგლებში და ხელმისაწვდომი იქნება ყველა მსურველთათვის;

3) მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ფარგლებში დაწყებულია მუშაობა შრომითი მიგრაციის კანონპროექტზე, სადაც გაწერილია ის დებულებები, რაც მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს ლეგალური მიგრაციის განვითარებას;

4) ევროკავშირთან ვიზა–ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში ქართული მხარის ერთ–ერთი ძირითადი სამუშაო მიმართულებათაგანია ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა. ამ მიმართებაში გატარდა რიგი ღონისძიებები სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, რომელთა შორისაა დოკუმენტების უსაფრთხოება, რაც ეფექტიანი საშუალებაა არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის საქმეში;

5) 2013 წლის დასაწყისში სამდივნოს მიერ კომისიის სხვა წევრ უწყებებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შემუშავდა ე.წ. ლეგალური მიგრაციის სფეროში გასატარებელ საინფორმაციო აქტივობათა კონცეფცია. დოკუმენტი იძლევა მკაფიო მითითებებს იმ სფეროებსა და მიმართულებებზე, რომლებზეც შესაბამისმა უწყებებმა უნდა გაამახვილონ თავინთი ყურადღება საინფორმაციო კამპანიების წარმოებისას;

6) 2013 წლის აპრილში სამდივნომ, არასამთავრობო ორგანიზაცია მიგრაციის ცენტრთან ერთად (რომელიც დაკომპლექტებულია ყოფილი მიგრანტებისგან) ჩაატარა საგანგებო ტრენინგების სერია საქართველოს იმ ძირითად ქალაქებში, რომლებიც მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას კვლევებში აღიარებულია მიგრაციის მნიშვნელოვან კერებად. ტრენინგების დროს მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია ტრენერების პრაქტიკული ცოდნიდან გამომდინარე;

7) 2013 წელსვე კომსიის ფარგლებში შემუშავდა კანონპროექტი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ. დოკუმენტი არეგულირებს ქვეყანაში ლეგალურად შემოსვლის პრინციპებს.

გთხოვთ, გაგვაცნოთ თქვენი სტრუქტურის მომავალი წლის გეგმები, მათ შორის, საბერძნეთისა და თურქეთის ქართულ დიასპორებთან მიმართებაში.

2014 წლის სამოქმედო გეგმა ძირითადად ემყარება იმ საქმიანობას, რაც გაწერილია 2013-2015 წლების მიგრაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით. ამავდროულად სამდივნო მიზნად ისახავ შემდეგი პროექტების განხორციელებას:

1. მიგრაციის ერთიანი ანალიტიკური სისტემის კონცეფციის არსებული მოდელის სრულყოფა, საბაზისო კომპონენტების მომზადება და სატესტო რეჟიმის პირველი მონაკვეთის ამოქმედება;

- მიგრაციის სახელმძღვანელო
- შრომითი მიგრაციის კანონპროექტი
- ევროკავშირთან ვიზის ლიბერალიზაცია
- საინფორმაციო აქტივობა
- ტრენინგების სერია
- კანონპროექტი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ
- ვებ-გვერდის ინგლისურენოვანი ვერსია
- საქართველოსა და გერმანიას შორის ცირკულარული მიგრაციის პროექტი
- მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

2. ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობის მიზნით, პირველი, საერთო საინფორმაციო გზამკვლევის – მიგრაციის სახელმძღვანელო – შემუშავება და გავრცელება მიზნობრივ ჯგუფებში;

3. მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის პროექტის საბოლოო რევიზია და მისი ელ–ვერსიის გამოქვეყნება;

4. მიგრაციის სფეროში საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა (მათ შორის შრომითი მიგრაციის შესახებ კანონის პროექტზე მუშაობის დასრულება) და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება თანმდევ აქტებში;

5. 2013-2015 წლების მიგრაციის სტრატეგიასა და მის სამოქმედო გეგმაში მიმდინარე პროცესების თანახმად სათანადო ცვლილებების შეტანა და 2016-2019 წლების სტრატეგიაზე მუშაობის დაწყება;

6. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ვებ-გვერდის ინგლისურენოვანი ვერსიის ამოქმედება;

7. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის მიგრაციის სფეროში კვლევების საკითხებზე ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმება;

8. საქართველოსა და გერმანიას შორის ცირკულარული მიგრაციის პირველი სატესტო პროექტის ამოქმედება და ამ მიმართებაში წარმოებული კვლევის პირველი ფაზის დასრულება;

9. მიგრაციის სფეროში არსებული ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობის, რეკომენდაციებისა და მნიშვნელოვანი კვლევების თარგმნა და გამოქვეყნება.

ინტერვიუ დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილესთან, მუხრან გულაღაშვილთან:

ინტერვიუს დასაწყისი იხილეთ პირველ გვერდზე

..ამ კონტექსტში აღსანიშნავია საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით დაგეგმილი პროექტები.

ცნობილია, რომ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) საქართველოს მთავრობას უკვე 20 წელია მნიშვნელოვან დახმარებას უწევს მიგრაციული პროცესების მართვის თვალსაზრისით. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და IOM-ის თანამშრომლობით ხორციელდება პორექტი კვალიფიციური თანამემამულეების დროებითი დაბრუნების შესახებ (TRQN III), რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს ლეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხების განვითარების კუთხით. ამ პროგრამის ფარგლებში ხდება საქართველოში არსებულ ორგანიზაციებსა და სტრუქტურებში გამოწვევების გადაწყვეტაში საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების გამოცდილებისა და ცოდნის გამოყენება.

ქართული დიასპორის წარმომადგენელთა სამშობლოში ჩართულობის გაძლიერებისკენაა მიმართული მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშრისო ცენტრთან (ICMPD) და ლტოლვილთა დანიის საბჭოსთან (DRC) პარტნიორობით დაწყებული პროექტი ERGEM.

იგი არაჩვეულებრივ საშუალებას იძლევა სახელმწიფო უწყებების სხვა წარმომადგენლებთან ერთად შევხვდეთ საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებს (პროექტის ფარგლებში შერჩეულ სამ ქვეყანაში, ესენია: საბერძნეთი, თურქეთი და გერმანია) და მათთან ერთად განვიხილოთ ლეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები, მივიღოთ ინფორმაცია ემიგრანტების საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესახებ. ERGEM პროექტი ასევე ითვალისწინებს საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების ცოდნის გაზიარებას და დაბრუნებული ემიგრანტების სამშობლოში საქმიანობის წახალისებას.

გთხოვთ, გაგვაცნოთ თქვენი სტრუქტურის მომავალი წლის გეგმები, მათ შორის, საბერძნეთისა და თურქეთის ქართულ დიასპორებთან მიმართებაში.

მომავალ წელს კვლავინდებურად გაგრძელდება ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული საკვირაო სკოლებისა და ქართული ფოლკლორული ანსამბლების საქმიანობის მხარდაჭერა და წახალისება. ამასთან, სახელმწიფო მინისტრის შეხვედრები დიასპორულ ორგანიზაციებთან და საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან მომავალ წელსაც ინტენსიურ სახეს მიიღებს. ასეთ შეხვედრებზე ხდება თანამემამულეთა საჭიროებების გაცნობა, მათთვის პრობლემატური საკითხების დეტალური განხილვა და შემდგომში აღნიშნული პრობლემების გადაჭრის გზების ძიება.

მაგალითისთვის, ჩვენმა აპარატმა მიმდინარე წელს სხვა მრავალ პროექტთან ერთად, მხარი დაუჭირა პროექტს საბერძნეთში მცხოვრები თანამემამულეების სამედიცინო გამოკვლევის შესახებ. ასევე სრულდება მოლაპარაკება საბერძნეთის მთავრობის წარმომადგენლებთან სკოლაში ქართული ენის დამატებით საგნად სწავლებასთან დაკავშირებით. ასეთივე შინაარსის მოლაპარაკება მიმდინარეობს თურქეთის მთავრობასთანაც, ვინაიდან ქართული ენის ცოდნის შენარჩუნება-გაღრმავებაში წვლილის შეტანა ჩვენი აპარატის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა.

ENHANCING THE ROLE OF GEORGIAN EMIGRANTS AT HOME (ERGEM) PROJECT

Co-funded by the European Union's Thematic Programme

პროექტი ,,ქართველი ემიგრანტების როლის გაძლიერება საქართველოში'' (ERGEM)

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრისა (ICMDP) და ლტოლვილთა დანიის საბჭოს (DRC) მიერ დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან მჭიდრო თანამშრომლობით ხორციელდება ახალი პროექტი სახელწოდებით ,,ქართველი ემიგრანტების როლის გაძლიერება საქართველოში" ERGEM. ამ ეტაპზე, პროექტის ფარგლებში შერჩეულია სამი ქვეყანა, ესენია: გერმანია, საბერძნეთი და თურქეთი.

პროექტი მიზნად ისახავს საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებსა და საქართველოს სახელმწიფოს შორის კავშირის გამყარებას. ახალი პროექტის ერთ-ერთი კომპონენტია კვლევის ჩატარება, საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების შესახებ ინფორმაციის შეგროვება კითხვარებისა და მათთან გასაუბრების მეშვეობით. 2013 წლის ნოემბერ-დეკემბერში სრულყოფილი სურათის მისაღებად, პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი რამდენიმე დიასპორულ ორგანიზაციას ადგილსამყოფელ ქვეყანაში ეწვია. პროექტს ასევე მხარს უჭერს პარტნიორების ჯგუფი: თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო და პოლონეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო. პროექტი დაფინანსებულია ევროპის კავშირის მიერ, ხოლო თანადაფინანსება უზრუნველყოფილია ლტოლვილთა დანიის საბჭოსა და პროექტის პარტნიორების მიერ. პროექტის განხორციელება დაწყებულია 2013 წლის 17 აპრილიდან, ხოლო პროექტის ხანგრძლივობა შეადგენს 18 თვეს.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის კარგად მართული მიგრაციის ხელშეწყობა (CIPDD)

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ერთობლივად ახორციელებენ ევროკავშირის დაფინანსებულ პროექტს "საქართველოსა და ევროკავშირს შორის კარგად მართული მიგრაციის ხელშეწყობა." 30-თვიანი პროექტის ზოგადი მიზანია ევროკავშირსა და საქართველოს შორის კარგად მართული მიგრაციის ხელშეწყობა. ამასთან, პროექტი ფოკუსირდება ოთხ მთავარ ამოცანაზე:

1. მიგრაცია და განვითარება
2. მიგრაციის კანონმდებლობისა და პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა
3. არალეგალური მიგრაციისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა
4. მიგრანტთა უფლებების დაცვა. პროექტი ხორციელდება როგორც თბილისში, ისე საქართველოს ათ რეგიონში - გურია, იმერეთი, ქვემო ქართლი, კახეთი, მცხეთა-თიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო, ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი, აჭარა.

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის შესაძლებლობების გაზრდა

(პროექტის "სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინსტიტუციონალური განვითარების მხარდაჭერა" კომპონენტი)

პროექტის მიზანი:

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის შესაძლებლობების გაზრდა

პროექტის ძირითადი კომპონენტები:

· მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ორგანიზაციულ-ტექნიკური და ინტელექტუალური მხარდაჭერა
· მიგრაციული პროცესების მართვასა და სფეროში მიმდინარე პროექტებში ჩართულ უწყებებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობის ხელშეწყობა და განვითარება;
· ადგილობრივი და საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკის კვლევა-ანალიზი შემდეგ საკითხებზე: ლეგალური და არალეგალური მიგრაცია, შრომითი მიგრაცია, სავიზო პოლიტიკა, ინტელექტის გადინება, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), ლეგალური მიგრაციის დადებითი ეფექტის გამოყენება და მიგრანტთა წვლილი ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში და ა.შ
· თანამშრომლობის გაღრმავება არასამთავრობო სექტორთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომელთა საქმიანობაც მიგრაციის სფეროს უკავშირდება (ევროკავშირი (EU), გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR), მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD) ლტოლვილთა დანიის საბჭო (DRC), მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), და ა.შ.)

მოსალოდნელი შედეგები:

პროექტის ფარგლებში განვითარდება კომისიის წევრ და პარტნიორ უწყებებს შორის განვითარდება შედეგებზე ორიენტირებული თანამშრომლობა; მოხდება საქართველოში მიგრაციის სფეროში მიმდინარე პროექტებში დუბლირების და/ან თემატური გადაფარვების შემცირება. აგრეთვე უზრუნველყოფილი იქნება მიგრაციის საკითხებზე სამართლებრივი ბაზის ანალიზის პროცესში ჩაბმულ სახელმწიფო სტრუქტურებს შორის თანამშრომლობის ეფექტიანი კოორდინირება და საერთაშორისო ექსპერტიზის გამოყენება. ხელი შეეწყობა საქართველოს დინამიურ ჩართულობას მიგრაციის სფეროში მიმდინარე საერთაშორისო პროცესებში.

მიღწევები:

უკანასკნელი თვეების განმავლობაში, პროექტის დახმარებით - დასრულდა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს საბოლოო ფორმირების პროცესი; დამტკიცდა საქართველოს მიგრაციის სტრატეგია და 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმა; ჩამოყალიბდა თემატური გადაფარვების ეფექტიანი საპრევენციო მექანიზმი; ამოქმედდა კომისიის ქართულენოვანი ვებ-გვერდი, რომელიც დაწვრილებით ინფორმაციას იძლევა მიგრაციის შესახებ; შემუშავდა რამოდენიმე საკანონმდებლო აქტი; გაიზარდა კომისიის წარმომადგენლობითი წილი საერთაშორისო პროცესებში; ითარგმნა და უახლოვეს თვეებში გამოქვეყნდება მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება მიგრაციის ერთაინი ტერმინოლოგიური ბაზის დამკვიდრება.

ტრეფიკინგი

დღესდღეობით ტრეფიკინგი მონებით ვაჭრობის თანამედროვე ფორმად ითვლება. ყოველწლიურად 4 მილიონზე მეტი ადამიანი გადაჰყავთ სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე იძულებითი შრომისათვის. ამ პროცესის ერთ-ერთ მთავარ ხელშემწყობ პირობებად კი ითვლება, სწორედაც, მიგრაციული პროცესების, შრომითი მიგრაციის ინტენსივობა (2013 წლის 15 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული იქნა დადგენილება საქართველოს მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ, რომლის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს არალეგალურ მიგრაციასთან და ტრეფიკინგთან ბრძოლა), ქვეყნის კანონმდებლობის ნაკლოვანებები და ეკონომიკური კრიზისი. ტრეფიკინგის მსხვერპლი შესაძლოა გახდეს ნებისმიერი ასაკისა თუ სოციალური სტატუსის მქონე ადამიანი: ქალი, კაცი თუ ბავშვი.

ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ადამიანებით ვაჭრობას განმარტავს შემდეგნაირად: "ადამიანებით ვაჭრობა ნიშნავს ექსპლოატაციის მიზნით პირთა სამუშაოზე აყვანას, ტრანსპორტირებას, გადაცემას, თავშესაფრის მიცემა ან მიღებას, მუქარის ან ძალის ან იძულების სხვა ფორმების გამოყენებას, მოტაცების, თაღლითობის, მოტყუების, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, ან უმწეო მდგომარეობით სარგებლობის ან საზღაურის ან სარგებლის მიცემის ან მიღების გზით, რომლის მიზანია იმ პირის თანხმობის მიღება, რომელიც ახორციელებს კონტროლს სხვა პირზე".

"-ექსპლოატაცია, ყველაზე შეზღუდული განმარტებით, მოიცავს სხვა პირთა ექსპლოატაციას პროსტიტუციის მიზნით ან სექსუალური ექსპლოატაციის სხვა ფორმებს, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონურ ან სხვა მსგავს მდგომარეობაში ჩაყენებას, ყმობას ან ორგანოების ამოცლას".

იგივე კონვენციის მიხედვით, მიუხედავად იმისა, მსხვერპლი ითანამშრომლებს თუ არა სისხლის სამართლის გამოძიებასთან და იქნება თუ არა წარმოდგენილი მოწმის რანგში, მას უფლება აქვს მიიღოს შემდეგი:

ა) ფსიქოლოგიური დახმარება; ბ) მატერიალური დახმარება; გ) უსაფრთხო და სათანადო საცხოვრებელი; დ) წვდომა სასწრაფო სამედიცინო დახმარბაზე; ე) თარჯიმნისა და მთარგმნელის მომსახურება; ვ) დახმარება სისხლის სამართლის პროცესის დროს; ზ) კონსულტაციები და ინფორმაცია; თ) ხელი მიუწვდებოდეს შრომის ბაზარზე, პროფესიულ ტრენინგებსა და განათლებაზე, თუ იგი ლეგალურად ცხოვრობს ქვეყანაში.

2006 წლის 28 აპრილს (ძალაშია 2006 წლის 16 ივნისიდან) მიღებულ იქნა საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომლის ერთ-ერთი მიზანია ასევე უზრუნველყოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილება და მის წინააღმდეგ ბრძოლოს ხელშეწყობა. საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ 2011 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის ,ადამიანებით ვაჭრობის - ტრეფიკინგის ანგარიში – 2011 საქართველო (1–ლი კატეგორია)" მიხედვით საქართველო წარმოადგენდა ისეთ ქვეყანას, სადაც, ძირითადად, გავრცელებული იყო ქალებისა და გოგონების სექსუალური ტრეფიკინგის და მამაკაცებისა და ქალების იძულებითი შრომის შემთხვევები. 2010 წლის მონაცემებით, ქალები და გოგონები საქართველოდან ხდებონენ სექსუალური ტრეფიკინგის მსხვერპლნი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე თურქეთსა და ეგვიპტეში. ბოლო წლებში კი იძულებითი პროსტიტუციის შემთხვევები დაფიქსირდა არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, საბერძნეთში, რუსეთში, გერმანიასა და ავსტრიაში. მიუხედავად ამისა, 2010 წელს მნიშვნელოვნად იქნა შემცირებული სისხლისსამართლებრივი დევნისა და განაჩენთა საერთო რიცხვი 2009 წელთან შედარებით.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ აღმოჩნდით ტრეფიკინგის მსხვერსპლი საბერძნეთში, აუცილებელია იცოდეთ:

1. თუ ტრეფიკინგის მსხვერპლი მიმართავს პოლიციას ან სასამართლოს შეუძლია მიიღოს ბინადრობის ნებართვა;
2. ბინადრობის ნებართვა გაიცემა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ;
3. ტრეფიკინგის მსხვერპლთ აქვთ 30 დღიანი პერიოდი რეაბილიტაციისათვის;
4. ბინადრობის ნებართვის მფლობელებისათვის ხელმისაწვდომია როგორც განათლება, ისე პროფესიული გადამზადება, სამსახური, ჯანმრთელობის მომსახურება და სხვ.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ აღმოჩნდით ტრეფიკინგის მსხვერპლი თურქეთში, აუცილებელია იცოდეთ:

1. თურქეთში ტრეფიკინგის მსხვერპლს მისივე მოთხოვნის საფუძველზე და სასამართლო დადასტურების შემთხვევაში შესაძლოა მიეცეს ბინადრობის ნებართვა ექვს თვემდე ვადით;
2. ტრეფიკინგის მსხვეპლს შეუძლია მოითხოვოს კონპენსაცია თურქეთის სასამართლოში;
3. ბინადრობის ნებართვის მფლობელებისათვის ხელმისაწვდომია როგორც განათლება, ისე პროფესიული გადამზადება, სამსახური, ჯანმრთელობის მომსახურება და სხვ.
4. ტრეფიკინგის მსხვერპლის მოთხოვნის საფუძველზე მის უსაფრთხო დაბრუნებას ორგანიზება უნდა გაუწიოს თურქეთის ხელისუფლების ოფიციალურმა წარმომადგენლებმა -IOM (International Organization for Migration)-სა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად.

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე დასახმარებლად შეგიძლიათ მიმართოთ: თურქეთი

საქართველოს გენერალური საკონსულო სტამბულში: Cumhuriyet Cad. N: 169/2, Elmadağ stambuli Tel: +90212 343 9257
საქართველოს გენერალური საკონსულო ტრაპზონში: Pertev Paşa cad. N: 10 Ortahisar Tranzon, Tel: +90 462 326 68 55
საკონსულო მომსახურება, საქართველოს საელჩო თურქეთში: Kilizali Sok. No:12, Oran/Aankara , Tel: +90. 312 491 80 30, ვებ გვერდი: www.turkey.mfa.gov.ge E-mail: geoemb@ada.net.tr

IOM მისია

IOM ანკარა, მისამართი: B Birlik Mahallesi 2.cadde No:11, Yildiz Ankara Tel: +90 312 454 1135-52, E-mail: ankmission@iom.int
IOM სტამბული, მისამართი: Istiklal caddesi Sekban Han No:73-75, Kat:4 aire:7, 34433 Beyoglu Istanbul, Tel: +90 212 293 5000, E-mail: iomistanbul@iom.int, , ვებ გვერდი: www.iom.int www.countertrafficking.org

საბერძნეთი

საქართველოს საკონსულოს მომსახურება საბერძნეთის რესპუბლიკაში: მდებარეობა: ქ.ათენი, საბერძნეთი
მისამართი : 27, TAYGETOY ST., 15452 PALEO PSYCHIKO, ATHENS, კოდი : + 30; ტელეფონი: 210 748-91-80, 210 771-13-17; E-Mail: athens.con@mfa.gov.ge
klimaka KLIMAKA, ათენი, Tel: 0030 210 3417160-3, E-mail: shelter@klimaka.org.gr, , ვებ გვერდი: www.klimaka.org.gr
არასამთავრობო ორგანიზაცია "სოლიდარობა", ΑΛΛΗΛΕΓΓΥΗ Μ.Κ.Ο. ΤΗΣ ΕΚΚΛΗΣΙΑΣ ΤΗΣ ΕΛΛΑΔΟΣ, Tel: 0030 210 5203031, ვებ გვერდი: ww.solidarity.gr, E-mail: athens@solidarity.gr

საბერძნეთი

OECD–ს მონაცემებით, (http://goo.gl/HKJ4j9) საბერძნეთში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა 2013 წელს 4,7%–ით შემცირდა. OECD–ის წევრ ქვეყნებს შორის ეს ყველაზე დიდი უკუსვლაა; საბერძნეთის შემდეგ ყველაზე მძიმე დღეში ესპანეთია ამ მხრივ: –3,2%. წინა წლებში კლები უფრო მეტი იყო (2011 წელი: –6,8%; 2012 წელი: – 8,0%). მომავალ წლებში კლება მცირე ზრდით უნდა შეიცვალოს სავარაუდოდ (–1,5% და 0,7% შესაბამისად 2014 და 2015 წლებში). შეიძლებოდა გვეთქვა, რომ საბერძნეთმა სოციალური უკუსვლის მაქსიმალურ ზღვარს მიაღწია და გამოიკვეთა პოზიტიური ტენდენცია. მაგრამ სამწუხაროდ უმუშევრობის ფარდობითი მაჩვენებელი მინიმუმ 2009 წლის პირველი კვარტლიდან მოყოლებული არ წყვეტს გაუარესებას და 2013 წლის მეორე კვარტალში 27,51%–ს მიაღწია (შედარებისთვის – 2009 წლის პირველ კვარტალში ის მხოლოდ 8,82% იყო). თუ ნამდვილი მთლიანი შიდა პროდუქტის სიდიდეს შევხედავთ, ის 2008 წლის პირველი კვარტლიდან 2013 წლის პირველ კვარტლამდე გამუდმებით მცირდებოდა. 2013 წლის პირველი კვარტლიდან კი მცირე ზრდა შეინიშნება.

უმუშევრობის ანალოგიური მაჩვენებლები დააფიქსირა 2013 წლის მესამე კვარტალში საბერძნეთის სტატისტიკის სააგენტომაც (http://goo.gl/ODlmx2). აღსანიშნავია, რომ ქალების უმუშევრობა (31.3%) გაცილებით მეტია კაცების უმუშევრობაზე (23.8%).

სამუშაო ძალის გადაწყვეტილებების საერთაშორისო კომპანიის ManpowerGroup-ის მიერ საბერძნეთის დამსაქმებლების გამოკითხვის მიხედვით (http://goo.gl/JVl6C2), მომდევნო წლის პირველ კვარტალში ამჟამინდელ კვარტალთან შედარებით, ნავარაუდევია დაქირავების საშუალოდ 7%–იანი ზრდა (Net Employment Outlook), რაც 2008 წლის მეოთხე კვარტლიდან მოყოლებული ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზია, თუმცა, სხვა ქვეყნებთან შედარებით – ცხადია, არც ისე შთამბეჭდავი (მაქსიმალური მაჩვენებელი აქვს ტაივანს – 39% და ინდოეთს – 33%, სამაგიეროდ მინიმალური აქვს იტალიას – მინუს 10%).

სფეროების მიხედვით, დაქირავების ყველაზე ოპტიმისტური გეგმები აქვთ დამქირავებლებს ტრანსპორტის, დასაწყობებისა და კომუნიკაციის სექტორში (15%–იანი ზრდა 2014 წლის პირველ კვარტალში), რესტორნებისა და სასტუმროების სექტორში (+8%) და ფინანსების, დაზღვევის, უძრავი ქონებისა და საბითუმო–საცალო ვაჭრობის სექტორებში (6%). ყველაზე დიდი შემცირება კი მოსალოდნელია სოფლის მეურნეობისა და ნადირობა–მეტყევეობა–მეთევზეობის სექტორებში (მინუს 9%).

თურქეთი

თურქეთის სტატისტიკის ინსტიტუტის ინფორმაციით (http://goo.gl/NANx7v), უმუშევრობა გასულ წელთან შედარებით 9.1%–დან 9.9%–მდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ სოფელში უმუშევრობა ოფიციალურად ძალიან დაბალია (5.7%). ამიტომ თუ მხოლოდ ურბანულ უმუშევრობას ავიღებთ, მისი მაჩვენებელი გაცილებით მეტია და 12.3%–ს აღწევს. საბერძნეთთან შედარებით, ეს სიდიდე მაინც ძალიან მცირეა. ამ ერთი წლის განმავლობაში, უმუშევრობა ზოგიერთ სექტორში ოდნავ გაიზარდა (სოფლის მეურნეობა და მშენებლობა), ზოგიერთში – ოდნავ შემცირდა (წარმოება, მომსახურებები). აღსანიშნავია, რომ როგორც სოფლის მეურნეობა (90%) და მშენებლობა (61%), ისე წარმოება (71.9%) და მომსახურებები (80.7%) გამოირჩევა არადეკლარირებული სამუშაოების ძალიან მაღალი სიხშირით (Table 5, European Foundation for the Improvement of Living and Working Conditions, Tackling undeclared work in Turkey, 2013; www.eurofound.europa.eu), რაც იმაზე მიუთითებს ოფიციალური უმუშევრობის ცვლილება შეიძლება რეალურ ცვლილებებს მთლიანად არ შეესაბამებოდეს. ManpowerGroup-ის მიერ თურქეთის დამსაქმებლების გამოკითხვის მიხედვით, (http://goo.gl/lMxIAy), მომდევნო წლის პირველ კვარტალში ამჟამინდელ კვარტალთან შედარებით, ნავარაუდევია დაქირავების საშუალოდ 16%–იანი ზრდა (Net Employment Outlook), რაც მეტია აშშ–ის მაჩვენებელზე (13%).

რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის სიდიდე 2013 წელს თანმიმდევრულად იზრდებოდა და 3,6% შეადგინა. მოკლევადიანი პროგნოზი კიდევ უფრო სახარბიელოა (http://goo.gl/iB5Eaz): 2014 – 4%; 2015 – 5%.

საბერძნეთში მყოფი ქართველი მიგრანტის მონოლოგი

„კითხვები შეგიძლია არ დამისვა, ვეცდები ჩემი ამბავი მოკლედ მოგიყვე თანაგრძნობა ხომ ყველა ადამიანს სჭირდება.

თბილისიდან ვარ, ისეთ ოჯახში გავიზარდე, სადაც ზრუნვა და სითბო არ მომკლებია. ყველაფერი პრესტიჟული მქონდა: სკოლა, უმაღლესი. მხოლოდ დროსტარებაზე ვფიქრობდი, გათხოვებითაც, სიყვარულით დავოჯახდი, ჯანმრთელი შვილები... რომც მინდოდეს ცუდს ვერაფერს ვიხსენებ.

შემდეგ კი ყველასათვის ნაცნობი კოშმარი დაიწყო.

დაწვრილებითაც რომ არ მოგიყვე, ხვდები ალბათ აქ რატომ აღმოვჩნდი. 2 წლით ჩამოვედი და მას მერე 15 წელი გავიდა. რამდენი დამცირება და ტკივილი ავიტანე. მარგარეტ ტეტჩერის არ ვიცი, მაგრამ მე კი ნამდვილად ვყოფილვარ "რკინის ლედი".

სახლი რომ დავიხსენი, ვალები გავისტუმრე, მშობლების საფლავი მოვაწესრიგე, მეუღლეს მცირე ბიზნესის აწყობაში დავეხმარე, შვილებს განათლება დავუფინანსე, ტანსაცმელზე და სხვა საჩუქრებზე რომ აღარ დავწვრილმანდე, საქართველოში დავბრუნდი.

ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი "ვაი" კი აქ მელოდა, როდესაც მივხვდი, რომ დედა და ცოლი - ევროს "პროვაიდერად" გადავქცეულვარ. აღარ მკითხავ ალბათ, საბერძნეთში რატომ დავბრუნდი. ბაირონი, კოპერნიკი, ვისზე ნაკლები ვარ?

გული საქართველოში დავტოვე, მაინც ფეთქავდა ეგ ოხერი და ცოცხლად ხომ არ დავმარხავდი?

"მალე შვილიშვილი მეყოლება, ეცოდინება, რომ თოვლის ბაბუა, ბოდიში "სანტა-კლაუსი" ლაკლანდიაში ცხოვრობს და მშობლებს თუ დაუჯერებს ახალ წელს საჩუქარს მიიღებს, ბებია კი- საბერძნეთში და რაც არ უნდა ცუდად მოიქცეს, საჩუქარი ყოველ თვე გარანტირებული აქვს."

ვიცი, გზა, რომელსაც ტაძრამდე არ მივყავართ-საჭირო არ არის, მაგრამ ბებია რომელიც საჩუქრებს ვეღარ ჩუქნის, საჭიროა თუ არა, როცა გაიზრდება, თვითონ გადაწყვიტოს, მე კი ამ კითხვაზე პასუხი უკვე ვიცი.“

ესაუბრა ჟურნალისტი ნინო ბაჯელიძე

თურქეთში მყოფი ქართველი მიგრანტის მონოლოგი

მალე ახალი წელი მოვა. ზოგადად, მიყვარს ახალი წელი, მაგრამ წლევანდელი ახალი წელი განსაკუთრებით მიხარია. ამის მიზეზი კი ის არის, რომ 2014 წელს დედაჩემთან ერთად შევხდებით. დედიკო უკვე მესამე წელია რაც თურქეთში დადის (ქ. სტამბულში) სამუშაოდ. მთავარი მიზეზი მისი 6 სულიანი ოჯახის რჩენაა... პირადად მე ძალიან მინდა რომ აქ იყოს და იქ არ წავიდეს სამუშაოდ. მასაც უნდა. ძალიან უჭირს ოჯახისგან შორს ყოფნა, უცხო ქვეყანაში, უცხო ოჯახში, უცხო გარემოში. მართალია, როგორც დედიკო ამბობს, ოჯახის წევრები ცუდი ხალხი არ არიან, მაგრამ ოჯახი დიდია რაც თავისთავად მეტ სამუშაოს გულისხმობს და ცოტა არ იყოს, უჭირს (ხშირად მთელი დღე ფეხზე დგომა უწევს). ოჯახის დიასახლისი და სხვა წევრებიც, კარგი ადამიანები ჩანან და დედიკოც ამას ამბობს. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის, რომ ხშირად ვეკონტაქტები დედას ინტერნეტის საშუალებით, რისი გამოყენების უფლებასაც აძლევენ, თუ დამინახავენ რომ საიტზე ვარ, სახლის დიასახლისი მირეკავს და დედიკოსთან მალაპარაკებს. ხშირად მესმის თურქეთში მომუშავე ქართველებისგან რომ ე.წ უფროსები, მათ ცუდად ექცეოდნენ, რაც ძალიან ცუდია.

საქართველოდან მეზობელ თურქეთში სამუშაოდ წასულთა რიცხვი დიდია. ამის მიზეზი ალბათ ჩვენს ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური გარემოა. დედაჩემი სამსახურში შემცირების შემდეგ, ერთ-ერთ სკოლაში გადავიდა ბუღალტრად, თუმცა დაბალი ანაზღაურების გამო სამსახურს თავი დაანება. ალბათ მასავით კიდევ რამდენი ჩვენი თანამოქალაქეა. კარგი იქნება სახელმწიფომ რაიმე სახის გეგმა შეიმუშავოს და სხვა ქვეყანაში სამუშაოდ წასული თავისი მოქალაქეები თავისსავე ქვეყანაში დაასაქმოს და ყოველ საღამოს იგი სახლში, ოჯახის წევრებთან ერთად იყოს.

თურქეთში მყოფი საქართველოს მოქალაქის - ადვიე შაშიკაძის შვილი.

კითხვა-პასუხი

კითხვა: როგორ შეიძლება საბერძნეთიდან საქართველოს მიმართულებით ამანათის გაგზავნა?

პასუხი: საბერძნეთიდან საქართველოს მიმართულებით ამანათების გაგზავნა ხდება როგორც სახმელეთო ასევე საჰაერო გიზით. სახმელეთო გზით ამანათების გადაზიდვას ახორციელებს "საქართველოს ფოსტა", რომელიც არის საქართველოში საფოსტო ამანათების სახმელეთო გზით გადაზიდვის ლეგალური გადამზიდავი და რომელსაც საბერძნეთის რესპუბლიკაში წარმოადგენს სამი კომპანია: "ინექსგრუპი", "ჯიპიექსპრესი" და შპს "დკლ კარგო"-ს ავტორიზებული წარმომადგენლობა "ჩიკორია ექსპრესი".

გარდა ამისა, არსებობს გადაზიდვის საჰაერო გზა, რომლის მეშვეობითაც ამანათები გადააქვთ: "ჩიკორია ექსპრეს"-ს და "ნუგზარტურს".

კითხვა: ვის უნდა მიმართოს საზღვარგარეთ მყოფმა პირმა პასპორტის, სამგზავრო პასპორტის ან სამგზავრო დოკუმენტის მისაღებად თურქეთში?

პასუხი: საზღვარგარეთ მყოფმა პირმა პასპორტის, სამგზავრო პასპორტის ან სამგზავრო დოკუმენტის მისაღებად უნდა მიმართოს საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

კითხვა: რა ტიპის სამუშაოზე ვრცელდება შეღავათები უცხოელებისათვის თურქეთში?

პასუხი: საელჩოს მიერ ქვეყნის შესაბამის უწყებებთან გამართული კონსულტაციების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, შეღავათები ვრცელდება მხოლოდ იმ უცხოელებზე, რომლებსაც სურვილი აქვთ, დასაქმდნენ ოჯახებში (მოსამსახურედ, დამლაგებლად, ბავშვების, მოხუცების ან ავადმყოფების მომვლელად)

კითხვა: რა საბუთები უნდა წარადგინოს დაინტერესებულმა პირმა შრომის ნებართვის მისაღებად თურქეთში?

პასუხი: დაინტერესებულმა პირებმა შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროში უნდა წარადგინონ განცხადება, დამსაქმებლისა და დასასაქმებელი პირის მიერ ხელმოწერილი სპეციალური ანკეტა ან შრომის ხელშეკრულება, უცხოელის ფოტოსურათი და პასპორტის ასლი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანითურთ.

კითხვა: რა ვადაშია ვალდებული თურქეთის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო გაცნობოთ სამუშაო ნებართვასთან დაკავშირებული პასუხი?

პასუხი: თურქეთის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ვალდებულია გასცეს პასუხი მუშაობის ნებართვის თაობაზე დაინტერესებულ პირებს 30 დღის ვადაში.

საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეებიდან ვინაა უფლებამოსილი მიმართოს კომპეტენტურ ორგანოს პასპორტის აღებასთან დაკავშირებით?

პასუხი: საზღვარგარეთ მყოფ მოქალაქეზე პასპორტის გაცემის თაობაზე მოთხოვნის წარმდგენი პირი (განმცხადებელი) შეიძლება იყოს: ა) სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი, რომელზეც უნდა გაიცეს პასპორტი; ბ) რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი 16-დან 18 წლამდე ასაკის პირი, თუ მასზე გაცემულია პირადობის მოწმობა; გ) არასრულწლოვანი პირის, ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირის კანონიერი წარმომადგენელი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა 16-დან 18 წლამდე ასაკის პირი იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში და მასზე გაცემულია პირადობის მოწმობა; დ) 14 წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვანი პირი, რომელზეც უნდა გაიცეს პასპორტი, თუ მასზე გაცემულია პირადობის მოწმობა; ე) სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობის მქონე პირი; ვ) დაინტერესებული პირის მეუღლე, პირდაპირი ხაზის აღმავალი და დამავალი შტოს ნათესავი, და-ძმა, სამედიცინო დაწესებულების უფლებამოსილი თანამშრომელი, თუ პასპორტის გაცემის თაობაზე ნების გამოხატვა შეუძლებელია იმ პირის მძიმე ავადმყოფობის გამო, რომელზეც უნდა გაიცეს პასპორტი და აღნიშნულ პირს არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი. ნების გამოხატვის შეუძლებლობა უნდა დადასტურდეს შესაბამისი ცნობით/დოკუმენტით.



G-PAM პროექტის ვებ-გვერდზე (www.migrant.ge) შეგიძლიათ იხილოთ თქვენთვის საინტერესო ინფორმაცია. „კანონები/პროცედურების“ განყოფილებაში თქვენ იხილავთ კანონმდებლობის ბაზას და მიგრანტებისთვის საინტერესო და საჭირო სამართლებრივ კონსულტაციებს კითხვა-პასუხის რეჟიმში. აღნიშნული კომპონენტის მიზანია მიგრანტებს ჰქონდეთ მეტი ინფორმაცია მათ უფლებებზე და იყვნენ უფრო მეტად კომპეტენტურნი მათთან დაკავშირებულ სამართლებრივ პროცედურებში.

საბერძნეთსა და თურქეთში ლეგალურად დასაქმების მსურველებს სიდა უსასყიდლოდ სთავაზობს კონსულტაციებს ლეგალურ შრომით მიგრაციაზე და ასევე საინტერესო ვაკანსიებს. კომპეტენციის შესაბამისი ვაკანსიის გამოჩენის შემთხვევაში სიდა ბენეფიციარს ეხმარება შესაბამის ენაზე cv-ის მომზადებაში თუ განაცხადის ფორმის შევსებაში. დამსაქმებელთან დაკავშირება და cv-ისა თუ შევსებული ფორმის გაგზავნა კი ბენეფიციარის პასუხისმგებლობაა. სიდა არ მედიატორობს და არ ასრულებს დასაქმების სააგენტოს მსგავს ფუნქციას. ჩვენი მიზანია, მაქსიმალურად ლეგალურ განზომილებაში გადავიყვანოთ და უფრო ეფექტური გავხადოთ საქართველოს მოქალაქეთა შრომითი ემიგრაცია როგორც თვითონ ბენეფიციარებისთვის, ისე მთლიანად ქვეყნისთვის. ამრიგად, ჩვენ ხელს არ ვუწყობთ ემიგრაციას როგორც ასეთი, არამედ ვცდილობთ, რომ სამართლებრივად უპრობლემო და ცივილურული გავხადოთ ემიგრაცია, რომელსაც თავიდან ვერ ავიცილებთ. სასურველი ვაკანსიის მოსაძებნად გამოიყენეთ ამ ტექსტის მარცხნივ მოცემული ძიების ფორმა, რომლითაც თქვენ

საბერძნეთსა და თურქეთში ლეგალურად დასაქმების მსურველებს სიდა უსასყიდლოდ სთავაზობს კონსულტაციებს ლეგალურ შრომით მიგრაციაზე და ასევე საინტერესო ვაკანსიებს. კომპეტენციის შესაბამისი ვაკანსიის გამოჩენის შემთხვევაში სიდა ბენეფიციარს ეხმარება შესაბამის ენაზე cv-ის მომზადებაში თუ განაცხადის ფორმის შევსებაში. დამსაქმებელთან დაკავშირება და cv-ისა თუ შევსებული ფორმის გაგზავნა კი ბენეფიციარის პასუხისმგებლობაა. სიდა არ მედიატორობს და არ ასრულებს დასაქმების სააგენტოს მსგავს ფუნქციას. ჩვენი მიზანია, მაქსიმალურად ლეგალურ განზომილებაში გადავიყვანოთ და უფრო ეფექტური გავხადოთ საქართველოს მოქალაქეთა შრომითი ემიგრაცია როგორც თვითონ ბენეფიციარებისთვის, ისე მთლიანად ქვეყნისთვის. ამრიგად, ჩვენ ხელს არ ვუწყობთ ემიგრაციას როგორც ასეთი, არამედ ვცდილობთ, რომ სამართლებრივად უპრობლემო და ცივილურული გავხადოთ ემიგრაცია, რომელსაც თავიდან ვერ ავიცილებთ. სასურველი ვაკანსიის მოსაძებნად გამოიყენეთ ამ ტექსტის მარცხნივ მოცემული ძიების ფორმა, რომლითაც თქვენ შეგეძლებათ ვაკანსიები ნახოთ ქვეყნის (საბერძნეთი და/ან თურქეთი), ქალაქის და/ან ვაკანსიის ტიპის (მაგ, ზოგადად მღებავი, ინჟინერი, მომვლელი და ა.შ.) მიხედვით.

საკონტაქტო ინფორმაცია

G-PAM პროექტის დირექტორი
სამოქალაქო განვითარების სააგენტო (სიდა)
ფიროსმანის ქ. 9/1, რუსთავი 3700
(+995) 598 261 030, 341 25 88 24 (შიდა ნომერი 13)
migrant_ge@hotmail.com, zura@cida.ge, www.migrant.ge

მაია პაქსაშვილი, G-PAM პროექტის იურისტი
სამოქალაქო განვითარების სააგენტო (სიდა)
ფიროსმანის ქ. 9/1, რუსთავი 3700
(+995) 571 258 822 / 341 25 88 24 (შიდა ნომერი 13)
migrant_ge@hotmail.com, maia@cida.ge
სკაიპ-სახელი: migrant_ge

ზურაბ წურწუმია, G-PAM პროექტის ასისტენტი
სამოქალაქო განვითარების სააგენტო (სიდა)
ფიროსმანის ქ. 9/1, რუსთავი 3700
(+995) 598 715 915, 341 25 88 24 (შიდა ნომერი 13)
migrant_ge@hotmail.com, zura@cida.ge

სამეგრელო
თინათინ დიდიშვილი, პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი
ასოციაცია ათინათი, რუსთაველის ქ. 94, ზუგდიდი, 2100
+995 599 515129, ti-ka35@rambler.ru

ანაკლია 599 897 544
დარჩელი 599 897 380
ჩხორია 577 732 073
ნაგვაზაო 599 897 310
ჯიხაშკარი 551 094 803
თეკლათი 558 203 150
ხაბუმე 591 810 369
ჭალე 599 897 238
ჯგალი 599 897 563
პირველი მაისი 591 713 638
საჯიჯაო 557 202 185

იმერეთი
ნათია ნამიჭეიშვილი, პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი
ქუთაისის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი
ი. გრიშაშვილის მე-4 შესახ. #3, ქუთაისი, 4600
+995 598 797 479, natiaacett@gmail.com

ვარციხე 558 040 200
როხი 51 4011 085
ფუთი 599 897 576
ცხრაწყარო 598 397 177
დიდი ჯიხაიში 598 926 620
ჩიხა 598 426 333
ქვიტირი 558 380 755
მანდაეთი 599 897 421
ხრეითი 598 395 278
ლაშე 599 852 662
კუხი 599 897 210

აჭარა
არჩილ ხახუტაიშვილი, პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი
დემოკრატიის ინსტიტუტი, ფარნავაზ მეფის ქ. 144, ბათუმი
+995 577 210 410, A.khakhutaishvili@iod.ge

სოფელი ცხმორისი 591 718 941
სოფელი კვირიკე 593 360 729
მუხაესტატე 555 226 921
სოფელი ხალა 557 212 314
ხუცუბანი 557 328 861
ფურტიო 591 716 761
ნიგაზეული 558 793 307

შიდა ქართლი
მიხეილ ჩიტაძე, პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი
გორის საინფორმაციო ცენტრი, ჩიტაძის ქ. 3, გორი, 1400
+995 599 113 455, gic@gic.org.ge, mishachitadze@gmail.com

ატენი 599 897 482
ვარიანი 599 897 605
კარალეთი 598 338 869
მეჯვრისხევი 599 897 424
ტინისხიდი 599 777 042
შინდისი 599 897 316
ხელთუბანი 598 649 074
დოესი 599 897 337
ქვენატკოცა 599 897 158
სურამი 599 897 480
დირბი 595 512 627

ქვემო ქართლი
შორენა ხუხუა, პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი
კეთილი ნების მისია – მისიონერები, სულხან–საბას ქ. 143, ბოლნისი
+995 577 973 24, shorenakhukhua@gmail.com

ახალსოფელი 598 878 899
დიდი დმანისი 551 091 953
კრწანისი 555 124 144
კოდა 598 133 346
წინწყარო 598 206 017
კუმისი 593 197 140
წერეთელი 577 722 014
ბორბალო 598 239 694
მარტყოფი 555 502 103
ნორიო 599 897 283

მოცემული ბიულეტენი შექმნილია ევროკავშირის მიერ 2013 წელს დაფინანსებული ორწლიანი პროექტის - "ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს" G-PAM) - ფარგლებში. პროექტს ახორციელებს სამოქალაქო განვითარების სააგენტო – "სიდა" (www.cida.ge). ბიულეტენში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს ევროკავშირის მოსაზრებებს.